სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: კულტურის მეცნიერებები

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: კულტურის მეცნიერებათა მაგისტრი / MA in Cultural Studies

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფ. ნინო ჩიქოვანი

პროგრამის ანალოგი:

- University of Leeds. The School of Fine Art, History of Art and Cultural Studies. MA in Cultural Studies. http://www.leeds.ac.uk
- Lancaster Universuty. Institute for Cultural Research. MA in Cultural Studies. http://www.lancs.ac.uk
- Goldsmith University of London. MA in Cultural Studies. http://www.goldsmiths.ac.uk
- University of Bristol, Department of Archaeology and Anthropology. MA in Social Anthropology. http://www.bris.ac.uk
- Central European University, Department of Sociology and Social Anthropology. MA in Sociology and Social Anthropology. http://www.ceu.hu
- University of Nottingham. School of Modern Languages and Cultures. MA in Critical Theory and Cultural Studies. http://www.nottingham.ac.uk

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
კულტურის მეცნიერებები ბოლო 30 წლის მანძილზე განვითარდა დასავლურ უნივერსიტეტებში და გავრცელდა მსოფლიოს უდიდეს ნაწილში.
კულტურის მეცნიერებათა როგორც კვლევისა და სწავლების ცალკე სფეროს სამშობლოდ დიდი ბრიტანეთი და აშშ ითვლება, მაგრამ დროთა განმავლობაში სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში ჩამოყალიბდა კულტურის კვლევათა განსხვავებული პრობლემატიკა და ტრადიცია.

ჩვენთვის, ისევე როგორც, ვთქვათ, ბალკანეთისა და ცივილიზაციათა მიჯნაზე არსებული სხვა რეგიონებისათვის, რომლებიც ცივი ომის შემდგომ პერიოდში კონფლიქტების მთავარ კერებად იქცა, მნიშვნელოვანია კულტურული იდენტურობის, კულტურათა კომუნიკაციის, მიმდინარე კონფლიქტების კულტურული საფუძვლების, ძალადობის კულტურული კონტექსტისა და სხვა საკითხების კვლევა. ჩვენთვის საყურადღებოა პოლიეთნიკურ, მულტიკულტურულ და მრავალკონფესიურ საზოგადოებათა ისტორიული დინამიკა და მისი თანამედროვე შედეგები.

ყველა დასახელებული პრობლემა, აკადემიურთან ერთად, პოლიტიკური ინტერესის საგანია. პოლიტიკური გადაწყვეტილებები მით უფრო ადეკვატურია, რაც მეტადაა გათვალისწინებული კულტურული რეალობა და წარსული. ეს ნათლად წარმოაჩენს კულტურის მეცნიერებათა პრაქტიკულ და გამოყენებით მნიშვნელობას. ამერიკელი კულტურანთროპოლოგის, ერთ-ერთი ცნობილი სახელმძღვანელოს ავტორის ადამ კუპერის სიტყვით, კულტურული იდენტობის პრობლემა განუყოფელია კულტურის პოლიტიკისაგან. პიროვნება მხოლოდ იქ და მაშინ შეიძლება იყოს თავისუფალი, სადაც მის ფასეულობებს პატივს სცემენ. მრავალკულტურულ საზოგადოებებში კულტურული განსხვავებები ყურადღებისა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს (Adam Kuper. Culture. The Anthropologists' Account. Harward University Press, 2000, p.233).

კონფლიქტებითა და დაპირისპირებებით მოცულ გლობალურ სამყაროში თანაარსებობს, ერთი მხრივ, ინტეგრაციისა და უნივერსალიზაციის, მეორე მხრივ კი დეზინტეგრაციისა და ლოკალიზაციის ტენდენციები. მეცნიერება ლოგიკურად მივიდა ისტორიისა და თანამედროვეობის კულტუროცენტრულ ხედვამდე. კულტურის ფენომენისადმი ინტერესი

სულ უფრო იზრდება, მას საგანგებო ადგილი ეთმობა მსოფლიოს მომავალი განვითარების ყველა მეტ-ნაკლებად საყურადღებო ვერსიაში.

ჩვენში კულტურის მეცნიერებათა სწავლება უნდა შეესაბამებოდეს და ემყარებოდეს დასავლეთის უნივერსიტეტებში არსებულ გამოცდილებას. მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებშიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეძლებს წამყვანი პოზიციის დაკავებას რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით. ეს მიმართულებები შეიძლება იყოს: კულტურათა და ცივილიზაციათაA ურთიერთქმედება კავკასიაში; კავკასიის კონფლიქტების რელიგიური და კულტურული საფუძვლები; კულტურული იდენტობის პრობლემები; ინტერკულტურული ურთიერთობების პრობლემა კავკასიაში _ წარსული და თანამედროვეობა; ქართული კულტურის არსის გააზრება კულტურის მეცნიერებათაA თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს კულტურის კვლევათა გარკვეული ტრადიცია, თუმცა კულტურის ფენომენის შესწავლა აქ ჯერჯერობით ისევ დანაწევრებულია ცალკეულ სამეცნიერო დისციპლინებსა და მიმართულებებს შორის. კულტურის მეცნიერებათა ინტერდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე, სასურველია მათი კოორდინაცია, რაც უზრუნველყოფს კულტურის კვლევის სხვადასხვა მიმართულების ურთიერთდაკავშირებასა, თავიდან აგვაცილებს პარალელიზმს, გაზრდის კვლევისა და სწავლების ეფექტურობას. ინტერდისციპლინურობა ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანია, რამაც ხელი შეუწყო კულტურის მეცნიერებათა დამკვიდრებას კვლევისა და სწავლების ცალკე დარგად. კულტურის კვლევები ინტერდისციპლინურ საფუძველზე აღმოცენდა და მისი განვითარება სხვაგვარად, თუ არა ინტერდისციპლინურ ჭრილში, წარმოუდგენელია.

კულტურის მეცნიერებათა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის სტიუარტ ჰოლის სიტყვით, კულტურის მეცნიერებები, როგორც პროექტი, უსასრულოა და, ამ თვალსაზრისით, პლურალისტურია, იგი არ არის რაიმე სახის გაბატონებული დისკურსი ან მეტა-დისკურსი. ეს არის პროექტი, რომელიც ყოველთვის გახსნილია იმისათვის, რაც აქამდე ცნობილი არ იყო. მაგრამ მას აქვს გარკვეული ღერძი, საყრდენი, რასთანაც ყველაფერი ეს დაკავშირებულია, აქვს არჩევანი და სწორედ ამიტომ კულტურის კვლევები არის ეს, და არა სხვა რამ (Hall S. Cultural Studies and its Theoretical Legacies. – The Cultural Studies Reader. 2nd ed. Ed. by Simon During. London; New York: Routledge, 2003).

პროგრამის მიზანი

პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ საკითხებს, ასევე კულტურათა კონკრეტული კვლევის მეთოდებსა და მაგალითებს (case studies). სტუდენტმა უნდა გაიაზროს ემპირიული მასალის თავმოყრისა და ანალიზის წესი და მიზანი კულტურის კვლევათა სფეროში. ფართო და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების საფუძველზე, სტუდენტი უნდა დაეუფლოს კულტურის ფენომენის ანალიზის ხერხებსა და მეთოდებს, გაიაზროს კულტურის კვლევის ინტერდისციპლინური ხასიათი. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები, ასევე სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტს საშუალებას აძლევს, გაიფართოოს თეორიული თვალსაწიერი, განავითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს და განამტკიცოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები.

შესაბამისად, პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები საერთოა სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამასთან. ეს უზრუნველყოფს კულტურის მეცნიერებათა სფეროსათვის აუცილებელ მრავალმხრივ და ინტერდისციპლინურ ცოდნას. პროგრამა ამზადებს სტუდენტს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. იგი უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოსად და პრაქტიკოსად კულტურის კვლევათა სფეროში. პროგრამა განკუთვნილია

სტუდენტებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან ცოდნის გაღრმავებით თეორიულ სფეროში, მისი გამოყენებით კონკრეტულ კულტურათა კვლევასა და პრაქტიკულ საქმიანობაში.

პროგრამის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა ჰქონდეს ღრმა ცოდნა შემდეგ საგნებში: ცნებითი აპარატი და ძირითადი კონცეფციები კულტურის მეცნიერებებში; სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია. აგრეთვე არჩეულ კურსებში. ფართო და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების საფუძველზე, სტუდენტი უნდა დაეუფლოს კულტურის ფენომენის ანალიზის ხერხებსა და მეთოდებს, გაიაზროს კულტურის კვლევის ინტერდისციპლინური ხასიათი, გაეცნოს ძირითად პრობლემებს და განვითარების ტენდენციებს კულტურის მეცნიერებებში. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები, რომლებიც საერთოა სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამასთან, უზრუნველყოფს კულტურის მეცნიერებათა სფეროსათვის აუცილებელ მრავალმხრივ ცოდნას. ამის საფუძველზე, ის შეძლებს კულტურული ფაქტებისა და მოვლენების გააზრებას საერთო სოციალურ კონტექსტში.

პრაქტიკული უნარები

პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს, განავითაროს და დახვეწოს ემპირიული მასალის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, სრულყოს კულტურის მეცნიერებათა სფეროში გამოყენებული კვლევის მეთოდების ცოდნა, შეიძინოს და განამტკიცოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები. მას უნდა შეეძლოს შესასწავლი/საკვლევი საკითხის მკაფიო იდენტიფიცირება, მასალის მოძიება, კრიტიკული ანალიზი, სისტემატიზაცია, კვლევის მეთოდისა და თეორიული ჩარჩოს შერჩევა, ემპირიული და თეორიული მასალის შეჯერება და ამის საფუძველზე კულტურული პროცესების ანალიზი; მიღებული შედეგების ჩამოყალიბება ზეპირი და წერილობითი ფორმით.

ტრანსფერული უნარები

პროგრამა ამზადებს სტუდენტს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. იგი უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოსად და პრაქტიკოსად კულტურის კვლევათა სფეროში. სალექციო და სასემინარო მუშაობა, ცოდნის შუალედური შემოწმების სხვადასხვა ფორმა სტუდენტს უყალიბებს დროის დაგეგმვისა და ორგანიზების, სამუშაოს დაგეგმვის, პრიორიტეტების გამოყოფის უნარს. გარდა ამისა, იგი იძენს აუდიტორიასთან ურთიერთობის, ფაქტობრივი მასალის მოძიებასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში მუშაობის და შესაბამისი კომუნიკაციის უნარებს.

დასაქმების სფეროები:

მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს კულტურის პრობლემატიკით დაინტერესებულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში. როგორც ექსპერტი, იგი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში. მისი კომპეტენციის სფერო მოიცავს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას, მედიაპოლიტიკას კულტურის სფეროში, რეგიონული კონფლიქტების კულტურული საფუძვლებისა და მათი მოგვარების გზების ანალიზს, კულტურათა ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებას პოლიეთნიკურ, მრავალკონფესიურ და მულტიკულტურულ საზოგადოებაში.

კულტურის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონეს, გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, შეუძლია სწავლის გაგრძელება დოქტორანტურის საფეხურზე სხვადასხვა მიმართულებით (მაგალითად, ნაციონალიზმის კვლევები, ევროპული კვლევები, რელიგიური კვლევები, რეგიონული კვლევები, კულტურის სოციოლოგია, კულტურის ფსიქოლოგია და ა.შ.).

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი კულტურის მეცნიერებებში, ისტორიაში, ფილოსოფიაში, ფილოლოგიაში, აღმოსავლეთმცოდნეობაში, სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, სხვა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში; რომელიმე ევროპული ენის ცოდნა (ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული დონის შესაბამისად).
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- სამუშაო გამოცდილების ქონა სავალდებულო არ არის.

კვლევითი კომპონენტი:
სამი სემესტრის მანძილზე სტუდენტი ასრულებს 6 წერით ნამუშევარს (ესსე) 3 საგანში – თითოეულ საგანში ერთი თეორიული და ერთი კონკრეტული კვლევა (ცასე სტუდყ). ეს ნაშრომები, გარკვეულწილად, შექმნიან სამაგისტრო ნაშრომის საფუძველს.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
სტუდენტთა განკარგულებაშია აუდიტორიები, დარგობრივი ბიბლიოთეკა, სამკითხველო, კომპიუტერული ტექნიკა.
სტუდენტები ჩართული იქნებიან კულტურული იდენტობის, ქართული კულტურის მახასიათებლების, კულტურის გლობალიზაციის, კონფლიქტების კულტურული საფუძვლების, ინტერკულტურული დიალოგის და კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტის თემატიკით გათვალისწინებულ სხვა პრობლემათა კვლევაში.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:

#	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი: სავალდებულო არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
1	ცნებითი აპარატი და ძირითადი კონცეფციები კულტურის მეცნიერებებში	სავალდებულო	10
2	ისტორიული პროცესი და კულტურის კვლევები: მეთოდოლოგიური საფუძვლები *(მედიევისტიკის, ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის კვლევების სამაგისტრო პროგრამებთან ერთად)*	სავალდებულო	10
3	კულტურის პოლიტიკის საფუძვლები *(ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)*	სავალდებულო	10
4	თეორიული და ემპირიული კვლევა და სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი (*ნაციონალიზმისა და ეთნიკურობისაკვლევების სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)*	სავალდებულო	10
5	ინტერკულტურული კვლევები	სავალდებულო	10
6	დასავლეთი და აღმოსავლეთი: შედარებითი კვლევის საფუძვლები *(მედიევისტიკის*	სავალდებულო	10

	სამაგისტრო პროგრამა)		
7	კულტურა და რელიგია კავკასიაში[1]	არჩევითი	10
8	კონფლიქტები კავკასიაში და მათი მოგვარების გზები (*პოლიტიკურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)*	არჩევითი	10
10	კულტურული იდენტობის პრობლემები თანამედროვე მსოფლიოში	არჩევითი	10
11	ნაცია და ნაციონალიზმის ფენომენები თანამედროვე დასავლურ დისკურსში (*საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამასთან ერთად*) [სილაბუსი იხ. საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში]	არჩევითი	10
12	კულტურა და მოდერნიზაცია	არჩევითი	10
17	სამაგისტრო ნაშრომი		30
	სულ		**120**

საგამოცდო საკითხები:

1. **ძირითადი ცნებები და ტერმინები კულტურის მეცნიერებებში**
   - კულტურისა და ცივილიზაციის ცნებათა დეფინიციის პრობლემა
   - კულტურის/ცივილიზაციის ბირთვი–პერიფერიის ცნება; სასაზღვრო, განაპირა, მარგინალური კულტურის ცნებები
   - სოციალიზაციისა და ინკულტურაციის ცნებები; კულტურული შოკი
   - სუბკულტურისა და კონტრკულტურის ცნებები
   - იდენტობა/იდენტიფიკაცია/თვითიდენტიფიკაცია
   - კულტურათა კონტაქტის ძირითადი ტიპები: კონფრონტაცია, სიმბიოზი, სინთეზი; ეთნოცენტრული და ეთნორელატიური ტიპი
   - კულტურული ცვლილება. ასიმილაციისა და აკულტურაციის ცნებები
   - დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცნებათა ინტერპრეტაცია კულტურის მეცნიერებებში. მახასიათებელთა ოპოზიციური წყვილები

2. **ძირითადი სკოლები და კონცეფციები კულტურის მეცნიერებებში**
   - კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სკოლა
   - ლ. უაიტი – კულტუროლოგიის ფუძემდებელი
   - ფ. ბოასის ისტორიული სკოლა
   - კულტურული რელატივიზმის თეორია (მ. ჰერსკოვიცი)
   - "ანალების" სკოლა
   - ლოკალურ ცივილიზაციათა თეორიები (ნ. დანილევსკი, ო. შპენგლერი, ა. ტოინბი, ს. ჰანთინგტონი)
   - კულტურულ ზესისტემათა თეორია (პ. სოროკინი)
   - კარლ იასპერსი. "ისტორიის ღერძი"
   - ფრენსის ფუკუიამა. "ისტორიის დასასრული"

[1] დასახელებულის გარდა, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგანი ნებისმიერი სხვა სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი საგნებიდან, პროგრამისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით.

3. **ქართული კულტურის ისტორია**
   - ქართული კულტურის ძირითადი მახასიათებლების ფორმირება IV-XI საუკუნეებში (ლიტერატურა, ხუროთმოძღვრება, ხელოვნება, განათლებისა და კულტურის კერები, სამონასტრო მოძრაობა). ქართული კულტურა – აღმოსავლურ ქრისტიანული ცივილიზაციის განაპირა და სასაზღვრო კულტურა
   - თვითიდენტიფიკაციის პრობლემა IV-XI საუკუნეებში – იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, ლეონტი მროველი. ქართული კულტურა – აღმოსავლურ ქრისტიანული ცივილიზაციის განაპირა და სასაზღვრო კულტურა
   - ოქროს ხანის ქართული კულტურა: მიმართება ქრისტიანულ და აღმოსავლურ მუსლიმურ სამყაროებთან
   - ქართული კულტურა XI-XII საუკუნეებში: საქართველო, როგორც ჩამოყალიბებადი კავკასიური კულტურული ერთობის ბირთვი. ბიზანტიასთან კულტურული მეტოქეობის პრეტენზია

ლიტერატურა

1. ძირითადი ცნებები და ტერმინები კულტურის მეცნიერებებში. რიდერი. კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის ბიბლიოთეკა.
2. ძირითადი სკოლები და კონცეფციები კულტურის მეცნიერებებში. რიდერი. კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის ბიბლიოთეკა.
3. ქართული კულტურის ისტორია. რიდერი. კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის ბიბლიოთეკა.
4. ასათიანი გ. სათავეებთან (რამდენიმე ცდა ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების გასარკვევად). თბ., 1982. გვ. 7-20, 35-48, 53-57,62-76, 134-147.
5. გიორგი მთაწმინდელი. ცხორება იოანესი და ეფთვიმესი // ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978.
6. გიორგი მცირე. ცხორება და მოქალაქეობა გიორგი მთაწმინდელისა. // ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978.
7. იოანე საბანისძე. წამება წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეისისა ჰაბოისი. // ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978.
8. კაპანელი კ. ქართული სული ესთეტიკურ სახეებში. თბ., 1996. გვ. 27-34, 60-68, 98-101, 108-123, 135, 323-331.
9. კულტუროლოგია. კულტურის ისტორია და თეორია. თბ., 2003.
10. ლორთქიფანიძე გ, ჩიქოვანი ნ. ქართული კულტურის ისტორია (უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე). თბ., 1997.
11. ნიჟარაძე გ. პოლემიკური შენიშვნები ქართული კულტურის ზოგიერთი ფსიქოლოგიური ასპექტის თაობაზე. კრებ.: ჭკუა ვაისაგან, თბ., 1994.
12. ნიჟარაძე გ. საქართველო და ხმელთაშუაზღვისპირეთი: კულტუროლოგიური ნარკვევის ცდა. ჟურნ.: კონფლიქტის ალტერნატივა, # 7-8, თბ., 1999.
13. სუნი რ. სამხრეთ კავკასია: ერთიანი კულტურული სივრცის პრობლემები. ჟურნ.: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის ბიულეტენი. თბ., 2000.
14. ფუკუიამა ფ. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბ., 1998.
15. ფუკუიამა ფ. კულტურული ომები და სამოქალაქო საზოგადოება. "არილი", 1998, # 8 (153), თბ., 2000.
16. ქართული მჭევრმეტყველება. ძეგლები და მასალები. თბ., 1958.
17. ჩიქოვანი ნ. საქართველოს კულტურული რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება ცივილიზაციათა თეორიის კონტექსტში (თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები). თბ., თსუ გამომც., 2005.
18. ჰანთინგტონი ს. ცივილიზაციათა შეჯახება? თბ., 1996.

19. ჰანთინგტონი ს. უნივერსალური ცივილიზაცია? მოდერნიზაცია და ვესტერნიზაცია. ცივილიზაციური ძიებანი. #2. თბ., 2004. გვ. 56-74.
20. G.J.Hofstede, P.B.Pederson, G.Hofstede. Exploring Culture. Intercultural Press, 2002.
21. H. L.Moore. Anthropological Theory at the Turn of the Century. // Anthropological Theory Today. Ed. by Henrietta L.Moore. 2000
22. C.F.Kottak, Cultural Anthropology. Eighth edition. 2000
23. A.Kuper. Culture. The Anthropologists' Account. Harvard University Press, 2000
24. R.M.Keesing, A.J. Strathern. Cultural Anthropology: a Contemporary Perspective.
25. Белик А.А. Культурология. Антропологические теории культуры. М., 1999
26. Ионин Л.Г. Социология культуры. М., 1998
27. Лурье С.В. Историческая этнология. М., 1997
28. კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტის ვებ-გვერდი http://www.culturedialogue.com

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს სრულ პროფესორ ნინო ჩიქოვანს ტელეფონზე: 220050 (ბინა),
E-mail: tsuculturologia@yahoo.com